ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის

ფოლკლორის ცენტრის“ 2023 წლის საქმიანობის შესახებ

---

1. 2023 წელი 15,17 იანვარს ეიპიემ ტერმინალს ფოთის მხარდაჭერით ჩატარდა თოჯინების სახალხო თეატრის საახალწლო სპექტაკლები შეჭირვებული ოჯახების შვილებისათვის. ჩატარების ადგილი ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული თეატრი.
2. 2023 წელი 24,26 იანვარს ჩატარდა თოჯინების სახალხო თეატრის სპექტაკლი ,,ტყის კომედია“ N1 და N3 საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის. ჩატარების ადგილი ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული თეატრი.
3. 2023 წლის 2 თებერვალს ჩატარდა თოჯინების სახალხო თეატრის სპექტაკლი ,,ტყის კომედია“ N3 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის. ჩატარების ადგილი ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული თეატრი.
4. **2023 წლის 8 თებერვალს** ჩატარდა ფოლკლორის ცენტრთან არსებული საბავშვო თეატრალური სტუდია „არგოს” სპექტაკლის „წუნა და წრუწუნა“-ს ჩვენება N 1 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის. ჩატარების ადგილი ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული თეატრი.
5. **2023 წლის 16 თებერვალს** ჩატარდა ფოლკლორის ცენტრთან არსებული საბავშვო თეატრალური სტუდია „არგოს” სპექტაკლის „წუნა და წრუწუნა“-ს ჩვენება N12 და N15 საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის. ჩატარების ადგილი ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული თეატრი.
6. **4 მარტი**–რეგიონალური საკალათბურთო სასკოლო ოლიმპიადის გახსნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „თაობა“ ხელ-ლი ს. დარახველიძე, ქალთა ტრიომ „ფაზისი“ ხელ-ლი ნ.ამირანაშვილი.
7. **24 მარტი**–- ჩატარდა თოჯინების სახალხო თეატრის სპექტაკლი ,,ტყის კომედია“ N11 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის. ჩატარების ადგილი ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული თეატრი.

8. **2023 წლის 26 მარტს** ქალაქ ბათუმში ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან არსებული ხალხურ საკრავთა ჯგუფი ,,ერთობა" (ხელ-ლი იოანე ჯიბლაძე) მონაწილეობდა კლასიკური მუსიკის მე-16 ეროვნულ კონკურს-ფესტივალში ,,მომავლის ვარსკვლავები". ჯგუფი გადავიდა ფესტივალის II ტურში.

9. **31 მარტს,** ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება, "დროებიდან ამოღებული ცხოვრებისა და შემოქმედების კუთვნილება - დავაშრობთ ლეტოს , დავიწყების წყეულ მდინარეს", სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმის დღესთან და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების თარიღთან დაკავშირებით. ღონისძიებას მოწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი - ბექა ვაჭარაძე, საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ტყებუჩავა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

10. **2023 წლის 8 აპრილი** ქ.ზუგდიდი ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის საკონცერტო დარბაზში ხელოვნების რიგით მოთხე ხელოვნების ფესტივალში ,,ქAრთული" მონაწილეობის მიღებისათვის ჯგუფი ,,ერთობა" ხელ-ლი იოანე ჯიბლაძე დაჯილდოვდა მედლით, თასით და დიპლომებით, როგორც საუკეთესო კოლექტივი.

11. **13 აპრილი** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფები, კოლეჯი "ფაზისი"-ს სასწავლო- სადურგლო სახელოსნოს საზეიმო გახსნაზე.

12. 2023 წლის 26 აპრილი ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან არსებული ხალხურ საკრავთა ჯგუფი ,,ერთობა''-მ მონაწილეობა მიიღო კლასიკური მუსიკის მე-16 ეროვნულ კონკურს-ფესტივალში ,,მომავლის ვარსკვლავები.'' კონკურს-ფესტივალი ჩატარდა ორ ტურად, სადაც ჯგუფის წევრებს მათე ღლონტს, გიორგი მესხს, გიორგი ფაჩულიას, მათე ჭაკნელიძესა და მათე გვასალიას მიენიჭათ ლაურეატის წოდება. ხელმძღვანელი იოანე ჯიბლაძე კი დაჯილდოვდა წარმატებული მოღვაწეობისათვის.

13. **4 მაისი**-- ჩატარდა თოჯინების სახალხო თეატრის სპექტაკლი ,,ტყის კომედია“ N15 და ფიზიკა-მათემატიკური სკოლის საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის. ჩატარების ადგილი ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული თეატრი.

14. 7 მაისს, ქალაქ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ თეატრში, ჩატარდა კონკურს-ფესტივალი ,,სხვა საქართველო სად არის" წინა საკონკურსო მოსმენა-შერჩევა და მასტერკლასი. სადაც მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის ბავშვთა საესტრადო ჯგუფებმა ,,გრიფი" და ,,L სტუდიომ".

15. **23 მაისს** ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის ორგანიზებით, ხელოვანთა სკვერში ჩატარდა ღონისძიება (გამოფენა)

    ,,ვარდობის თვეს, მაისის თვეს მზე სიამეს ახლიდა"

    გამოფენა-საღამოზე მონაწილეობდნენ თვითნასწავლი მხატვრები.
    წარმოდგენილი იყო სხვადასხვა თემაზე შექმნილი ნამუშევრები.
    ასევე ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საბიბლიოთეკო გაერთიანებასთან არსებულმა ლიტერატურული სალონის ,,გულის სამელნეს" წევრებმა.
    საღამოს მუსიკალურად აფორმებდა ფოლკლორის ცენტრთან არსებული ჯგუფი ,,L studio" და ბენდი ,,გრიფი".

16. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ მოედანზე, **26 მაისისადმი** მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ფოთის ფოლკლორის ცენტრთან არსებულმა კოლექტივებმა.

    1. ვოკალური ანსამბლი ,,ფაზისი"
       (ხელ-ლი ნათია ჯანელიძე)
    2. ხალხურ საკრავთა ჯგუფი ,,ერთობა"
       (ხელ-ლი იოანე ჯიბლაძე)
    3. ტრიო ,,ფაზისი"
       (ხელ-ლი ნალიტა ამირანაშვილი)
    4. ვოკალური კვარტეტი (ხელ-ლი რომეო ზარქუა)
    5. ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,სამება" ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,თაობა"
       (ხელ-ლი კობა დარახველიძე)
    6. ფოთის სალოტბარო სკოლა. (ხელ-ლი რომეო ზარქუა)

17. 29,30,31 მაისს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან არსებულმა საბავშვო თეატრალურმა სტუდია "არგომ" (ხელ-ლი ელგუჯა ქარაია) ჩაატარა სპექტაკლი "კონკიას ზღაპარი", საპრემიერო ჩვენება.

18. 2023 წლის 28 მაისს ქ.ზუგდიდში ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა, ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლ ,,ფაზისის" (ხელ-ლი ახმედ ამბალია, ქორეოგრაფი დევიზ სილოგავა)საანგარიშო კონცერტი.

საღამოს ესწრებოდნენ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლექსო თოდუა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის მოადგილეები:
მაია დოლბაია, შაკო სარდალიშვილი.
სპორტისა და კულტურის სამსახურის უფროსი ზურაბ ტიბუა.
კონცერტს ასევე ესწრებოდნენ ქორეოგრაფთა აკადემიის პრეზიდენტი ალექსანდრე ქართველიშვილი და ვიცე პრეზიდენტები.

საღამომ საინტერესოდ ჩაიარა და მაყურებელმა მონაწილეები მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

19. მიმდინარე წლის 2 ივნისს, ფოლკლორის ცენტრის ორგანიზებით და "ეიპიემ ტერმინალს ფოთი"-ს მხარდაჭერით, ცენტრთან არსებულმა თოჯინების სახალხო თეატრმა ჩაატარა სპექტაკლი "ნატვრის ახდენა" სოციალურად შეჭირვებული ბავშვებისათვის.
20. 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე, მაყურებლის წინაშე წარსდგა ფოლკლორის ცენტრთან არსებული ბენდი ,,გრიფი" და ,,L studio".
21. 10 ივნისს, ქ.სენაკში ჩატარდა კონკურს-ფესტივალი ,,სხვა საქართველო სად არის", სადაც მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის ბავშვთა საესტრადო ჯგუფებმა ,,გრიფი" (ხელ-ლი ვალერი ნიკოლაიშვილი) და ,,L studio" (ხელ-ლი ლელა ნარსია). მონაწილეები გადავიდნენ მეორე ტურში.
23. მ/წლის 23 ივნისი ქალაქი მარნეული , დასკვნითი საკონკურსო ტური , ქართული სიმღერის კონკურს-ფესტივალი ,,სხვა საქართველო სად არის".ბავშვთა საესტრადო ჯგუფი ,,გრიფი" (ხელ-ლი ვალერი ნიკოლაიშვილი) და ,,L studio" (ხელ-ლი ლელა ნარსია). მონაწილეები გადავიდნენ მეორე ტურში.

23. 25-29 ივნისის ჩათვლით ბათუმში ჩატარდა ახალგაზრდობის, ხელოვნებისა და მეგობრობის თეატრალური ფესტივალი

,,ბათუმი 2023," რომელშიც მონაწილეობა მიიღო

,,ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან არსებულმა საბავშვო თეატრალურმა სტუდია ,,არგო-მ" (ხე-ლი გ.ქარაია).

წარმატებით იქნა დადგმული და შესრულებული მათ მიერ საბავშვო სპექტაკლი ,,კონკია" რისთვისაც დაჯილდოვდნენ სხვადასხვა ნომინაციებში:

1.საუკეთესო რეჟისურა.

(დაჯილდოვდა გ.ქარაია)

2. საუკეთესო მხატვრობა.(დაჯილდოვდა მ.კვანტალიანი)

3. საუკეთესო ქალის როლის შესრულებისათვის.

(დაჯილდოვდა კონკია-ლილე-ანა პაპავა)

4. საუკეთესო მამაკაცის როლის შესრულებისათვის

(დაჯილდოვდა პრინცი-ბექა წოწონავა).

24. 27 ივნისს ჩატარდა საფორტეპიანო წრის (მოყვარულთა ხელ-ლი დარეჯან ჟვანია) საანგარიშო კონცერტი.

25. 29 ივნისს ქ.მარნეულში ჩატარდა კონკურს-ფესტივალი

,,სხვა საქართველო სად არის"
გამარჯვებული კოლექტივების გალა კონცერტი.
არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ კონკურს-ფესტივალში თავიდანვე მონაწილეობას ღებულობდა 700-დე კონკურსანტი და სულ რამდენიმე მოსწავლეს ერგო წილად გამოსულიყვნენ გალა-კონცერტზე.
...და სწორედ ამ გალა-კონცერტის მონაწილეები გახლდნენ ,,ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრათან" არსებული ბენდი,,გრიფი" (ხე-ლი ვ.ნიკოლაიშვილი) და ჯგუფი ,,L სტუდიო " (ხე-ლი ლ.ხვიჩია) ისინი წარმატებით გამოვიდნენ ამ ფესტივალზე და დამსახურებული მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

26. ,,ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან" არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ფაზისი",

იმყოფებოდა მ/წლის ივნისის თვეში იტალიის ქალაქ პეზაროში საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებზე:

,,GRAND FESTIVAL" ,,RIMINI FESTIVAL".

ორივე ფესტივალზე ანსამბლი ,,ფაზისი" საუკეთესო შესრულებისათვის დაჯილდოვდა უმაღლესი ჯილდოთი ,,გრან-პრით“.

27. 30 ივნისს ,,არტ-გალერეა 34" გაიმართა ,,ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის" თანამშრომლის გიორგი კალანდიას ,,წაჩხურუს მთავარანგელოზის მამათა მონასტრის" წიგნის პრეზენტაცია.

გიორგი კალანდიამ 2021 წელს დაამთავრა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და მას მიენიჭა ხელოვნებისმცოდნეობის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი.
სწორედ ეს წიგნი გახლდათ ის საბაკალავრო ნამუშევარი, რომელმაც განაპირობა მისი შემდგომი წარმატება.
ამ წიგნში მოთხრობილია მშენებლობის შესახებ არსებული ზეპირი ცნობები, ტრადიციები და ადათწესები, საუბარია იმ სასწაულებზეც, რომელმაც წარმოშვა წაჩხურობის დღესასწაული.
საღამომ მშვიდ გარემოში ჩაიარა, სასიამოვნო იყო საგალობლები და ხალხურ საკრავებზე შესრულებული ჰანგები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბატონი ლექსო თოდუა და სხვა მოწვეული სტუმრები.

28. წარმატებული შემოქმედებითი ზაფხული აქვთ ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლებს ,,თაობასა" და სამებას"

(ხე-ლი კობა დარახველიძე).
ანსამბლები ივნისის მიწურულს იმყოფებოდნენ ბულგარეთის ქ.ვარნაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში.
მათ საუკეთესო ქორეოგრაფიული დადგმისა და საუკეთესო კოსტიუმირებისათვის საპატიო სიგელები გადაეცათ.

29. 2 ივლისს ქ.ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ თენგიზ სუხილიშვილის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე, ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა ,,თაობა“, ,,სამება“ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

,,სამება" და ,,თაობა" საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ.

30. 7 ივლისს ქ.ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი

,,ოქროს საწმისი"
სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან არსებული ბენდი ,,გრიფი"

(ხელ-ლი ვ.ნიკოლაიშვილი)
და ჯგუფი ,,L სტუდიო"
(ხელ-ლი ლ.ნარსია).
მიუხედავად იმისა რომ ფესტივალში მომაწილეობდნენ ბელორუსიის, უკრაინის, რუსეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, მოლდოვისა და საქართველოს უძლიერესი თვით შემოქმედებითი კოლექტივები, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საოცრად ბრწყინვალედ გამოვიდნენ ბენდი ,,გრიფისა" და ,,L სტუდიოს" მონაწილეები. რისთვისაც მათ დაიმსახურეს ფესტივალის უმაღლესი ჯილდო ,,გრან-პრი" და დიპლომები.
31. 14 ივლისი ქ.ზუგდიდი პოლიკარპე ხუბულავას სახელობის III საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი. მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,ფაზისი“ ხელ-ლი რომეო ზარქუა.ანსამბლმა მაყურებლის დიდი მოწონება და ოვაციები დაიმსახურა. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი დიდ მადლობას უხდის ანსამბლ ,,ფაზისს“ ფესტივალში მონაწილეობისათვის.

32.24 ივლისი კულტურისა და დასვენების პარკი საბავშვო ბენდი ,,გრიფის“ და ჯგუფი ,,l-studio“-ს სოლო კონცერტი.
33. 26 ივლისს ქ.ქობულეთში

,,საქართველოს ეროვნული ფილარმონიისა" და
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფილიალის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო ქართული ფოლკლორის ფესტივალი ,,ჰარირა"
რომლის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელია ქალბატონი ეკატერინე ბულია.
🔷კონკურს-ფესტივალში მონაწილეობდა როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყნის ფოლკლორული საესტრადო და ინდივიდუალური შემსრულებლები.
კონკურს-ფესტივალში მონაწილეობას ღებულობდენ ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან არსებული ბენდი
,,გრიფი" (ხე-ლი ვ. ნიკოლაიშვილი)
და ჯგუფი ,,L სტუდიო" (ხე-ლი ლ.ნარსია)
ჯგუფის წევრები კვლავ წარმატებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე და მოიპოვეს კონკურსის მთავარი პრიზი ოქროს არწივი.
ვუსურვებთ შემდგომშიც წარმატებებს!

34. ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან“ არსებული თოჯინების სახალხო თეატრმა მონაწილეობა მიიღო 7 სექტემბერს ქობულეთში, თოჯინების მეშვიდე ფესტივალზე

,,მზიანი საქართველო-2023“სადაც წარსდგნენ სპექტაკლით ,,ტყის კომედია",
რეჟისორი (ალეკო ნოდია).
თოჯინების სახალხო სპექტაკლი სხვადასხვა ნომინაციებით და დიპლომებით
დაჯილდოვდნენ.

35. ქალაქ ფოთმა 16 სექტემბერს ნიკო ნიკოლაძის 180-ე საიუბილეო წელი იზეიმა.მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა კულტურული და სპორტული ღონისძიებები.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის“ შემოქმედებითმა კოლექტივებმა.

36. ,,თბილისობა -2023" მ/წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის „ შემოქმედებითმა კოლექტივებმა:

ქალთა ტრიო "ფაზისი"
ფოლკლორული ანსამბლი "ფაზისი"

37. მ/წლის 13 ოქტომბერი გალა კონცერტი - ,,სხვა საქართველო სად არის“

ქ.ახალციხე რაბათში ქართული სიმღერის კონკურს -ფესტივალის ,,სხვა საქართველო სად არის“ გამარჯვებულებისა და ლაურეატების გალა კონცერტში მონაწილეობა მიიღო
ა.(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან არსებულმა საბავშვო ბენდმა ,,გრიფი" და საესტრადო სტუდია,, L-STUDIOM“
(ხელ-ლი ვ.ნიკოლაიშვილი, ლ.ნარსია)
საუკეთესო პედაგოგებს შორის დასახელდნენ, ბენდი ,,გრიფის"
(ხელ-ლი ვ.ნიკოლაიშვილი) და L სტუდიო (ხელ-ლი ლ.ხვიჩია)

38. 17 ოქტომბერს ვ.გუნიას სახელობის დრამატულ თეატრში, ფოლკლორის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ღონისძიება:

,,დროს მიაქვს ყველა ძველი
ჩვენი კაცობის გარდა"
რომელიც მიეძღვნა ირაკლი(ბოჩიკა) ლოლუას 100წლის იუბილეს.
საღამომ მშვიდ გარემოში ჩაიარა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.
ღონისძიებას ესწრებოდნენ
სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის უფროსი ბატონი ლაშა გვასალია, ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბატონი ლექსო თოდუა, ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ქ-ნი მაიკო დოლბაია, ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ბატონ ზურაბ ტიბუა.

39.26 ოქტომბერს ზურაბ სარსანიას სახელობის პრიზზე კრივში გამართულ ტურნირის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ,, ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან“ არსებულმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა ქალთა ტრიო ,,ფაზისი“ ხელ-ლი ნალიტა ამირანაშვილი, ვოკალური ანსამბლი ,,ფაზისი“ ხელ-ლი ნათელა ჯანელიძე

40.25 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრის სცენაზე ა(ა)იპ ,,ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის

ფოლკლორის ცენტრთან“ არსებულმა საბავშვო თეატრალურმა სტუდია ,,არგომ“ქალაქის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთათვის გამართა სპექტაკლის ,,კონკიას ზღაპარის“ წარმოდგენა.

41. მიმდინარე წლის 12 ნოემბერს ქ. ზუგდიდში ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა რიგით მეხუთე ხელოვნების ფესტივალი ,,ქARTული".

სადაც მონაწილეობა მიიღეს
ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან არსებული ბენდი ,,გრიფი"
(ხელ-ლი ვ.ნიკოლაიშვილი)
ჯგუფი ,,L studio"
(ხელ-ლი ლ.ხვიჩია)
ხალხურ საკრავთა ჯგუფი ,,ერთობა"
(ხელ-ლი ი.ჯიბლაძე).
...და შეიძლება ხმამაღლა ითქვას რომ სამივე კოლექტივის მიერ შესრულებული ნომრები ნამდვილად ბრწყინვალედ იყო შესრულებული, ჟიური და მაყურებელი ოვაციას ვერ მალავდა, ფეხზე დამდგარი,ძლიერი ტაში და მათივე სახეებით გამოხატული კმაყოფილება დიდ სტიმულს მატებდა ჩვენს კოლექტივებს, რომლებიც დაჯილდოვდნენ თასებით, პირველი ხარისხის დიპლომებითა და მედლებით.
42. 25 ნოემბერს ქ.ბათუმში ჩატარდა ხელოვნების საერთაშორისო სატელევიზიო კონკურს-ფესტივალი

სადაც მონაწილეობას ღებულობდა ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ჰარირა "
(ხელ-ლი რომეო ზარქუა)
რომელმაც დაიმსახურა
პირველი ხარისხის დიპლომები, მედლები და ფესტივალის მთავარი პრიზი ,,გრან-პრი".

43. 6 დეკემბერს ქ.თბილისში ჩატარდა სერგო ზაქარიაძის სახელობის თეატრალური ფესტივალი,

,,მზიანი საქართველო"
რომელშიც მონაწილეობდა ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან არსებული საბავშვო-თეატრალური სტუდია ,,არგო" სპექტაკლით ,,კონკია"
(რეჟისორი გუჯა ქარაია).
მონაწილეები დაჯილდოვდნენ სხვადასხვა ნომინაციებში.
ფესტივალის აღმოჩენად აღიარებულ იქნა ,,კონკიას" მთავარი როლის შემსრულებელი, ნორჩი მსახიობი ლილიანა პაპავა.

44. 25 დეკემბერს, ქ.თბილისში, არტ-ჰოლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი

,,მომავალი ჩვენია", რომელშიც მონაწილეობდნენ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან არსებული ხალხურ საკრავთა ჯგუფი ,,ერთობას" შემსრულებლები (ხელ-ლი იოანე ჯიბლაძე).

ხალხულ საკრავთა ჯგუფ ,,ერთობას" წევრებს ფესტივალზე წარმატებით გამოსვლისა და საუკეთესო შესრულებისათვის გადაეცათ ლაურეატის დიპლომები.

,,ერთოაბას " ხელმძღვანელს იოანე ჯიბლაძესა და ფოლკლორის ცენტრის სამუსიკო ჟანრის სპეციალისტს ლამზირა ჯოჯუას, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა მიანიჭა წლის საუკეთესო ხელოვნების წოდება, რომლებიც ასევე არჩეულ იქნენ ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის საპატიო წევრებად.

ვულოცავთ მათ ამ წარმატებას, ლაურეატობასა და აღიარებას.

45. 28 დეკემბერს, ფოთის მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის დარბაზში, ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ფოლკლორის ცენტრთან" არსებულმა თვითშემოქმედებითმა კოლექტივებმა, ანსამბლებმა, ჯგუფებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა, თანაქალაქელთათვის საახალწლო კონცერტი გამართეს.